

## პარალელური ქრონიკები: კაცი ფრანგი - კაცი ქართველი ანუ მადლიერება

დინჯი ქართლ-კახელები ყველაზე მეტად იმას აფასებდნენ ,ვისაც დახმარების ხელის გაწვდენა შეეძლო.ეს იყო მათი ბედნიერების და მათი უბედობის მიზეზი..აქ გულდია, კეთილ საქმეში შეშველება იმდენად ჩვეული იყო, რომ ნელ-ნელა ქართულ ხასიათსაც შეერწყა და მათ ზნედ გადაიქცა. ჰო, ერთმანეთისთვის არ იშურებდნენ კომპლიმენტებს, ხუმრობებს და გაკიცხვასაც კი, თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ერთად მუშაობდნენ, ერთად შრომობდნენ. მაშ, რა არის რთველის ხიბლი, თუ არა ერთობა. ურთიერთდახმარებაა ის, რაც ქმნის ფოლკლორს, კრავს ხალხს.

მაგრამ ზოგჯერ, ხდება ისეთი რამ, რომ ერთ მუშტად შეკრული ერიც უძღურია,თავი გაართვას ახალ გამოწვევებს, მეტი ძალა, მეტი გამოცდილება სჭირდება ხალხს.

...უცხო სენი მყისიერად გავრცელდა , „თვალის დახამხამებაც ვერავინ მოასწრო“,„აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ...და სამეფოს მძიმე დრო დაუდგა.

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. მაშინ თუ სირთულე, გაუგებარი საქმე ხვდებოდა კაცს - ავადმყოფობა იყო. სენი მუსრს ავლებდა ქვეყანას და მაშველიც არავინ მოიძებნებოდა. ექიმებს სანთლით დაეძებდნენ. თუმც სად იყო ექიმი, იყვნენ ექიმბაშები და, რა თქმა უნდა, სახალხო მკურნალები, ტრადიციული მეთოდებით, რომელიც გაკაჟება-განკურნებასთან ერთად ხელის ჩაქნევასაც მოიაზრებდა. როგორ ჩანდა, ძველი ხერხი აღარ ჭრიდა...

ახლა ყველა იბრალებდა ქვეყანაზე ზრუნვას: იბრალებდნენ ნოვატორობას, ზოგჯერ სასწაულებრივსაც კი. ალბათ, ცდილობდნენ... არა, აშკარად უფრო ცდილობდნენ, ვიდრე ტყუოდნენ, მაგრამ ხვალინდელ დღეზე ფიქრი მაინც მხოლოდ ერთს გამოსდიოდა - მეფეს. ერეკლე მეფობდა მაშინ. სახელოვანი მეფე, გმირი იყო იმედი ხალხისა და ცდილობდა, არაფრით გაეცრუებინა მოლოდინები ომისაგან ისედაც დაცლილ, გაყოფა-შეერთებით დაღლილი ქართველისთვის. მან ზუსტად იცოდა, ხალხს მკურნალი სჭირდებოდა, ვინმე, თუნდაც უცხო... უცხო!

ასე მოიყარეს თავი მეფე ერეკლესთან წარინებულებმა და დაასკვნეს, ჯანდაბას ჩვენი თავი, უცხო იყოს, ოღონდ ახლა გვიშველოს და „სამადლობელს“ მასაც ვუმღერებთო. მეფეს მოახსენეს, წარჩინებულ მირზა გურგინას ჰყოლია ვიღაც ფრანგი, ცნობილი მკურნალი, „აქიმი“, რომელიც ახლა სტამბულიდან მოემართებოდა ქართლ-კახეთისკენ.

-ეჰ, - ეჭვობდნენ ერთნი - კი მაგრამ, ასე როდის შევუყვარდით ფრანგებს, ფეხი რომ დაუკრავთ და ჩვენ დასახმარებლად საფრანგეთიდან რომ გამოქცეულან? შორეული ნათესავები ვართ ალბათ...

მართლაც, დიდად გასაკვირი ანდა ჩვენი ფრანგის საქციელი. კაცი იფიქრებდა, ალბათ ახლა წაიკითხეს ის ფურცელი, სულხან-საბამ რომ თავის დროზე ჩაიატნა პარიზში და ზედ წააწერა მოგვეშველეთო. ჰო, ასეც იქნებოდა, ერეკლეს თადარიგი რომ არ დაეჭირა და როგორღაც ხმა მიეწვდინა იმ კაცისთვის, რომელზედაც გაეგო, დიდად გამოცდილი „აქიმიო.“

მეფე იმის მეფეა, რომ იმის ყური ყველგან წვდება, ყველა ამბავს ისმენს. ახლა, მირზა გურგინას და ფრანგი ექიმის შეხვედრის ამბავს რომ უყვებოდნენ მეფეს, საქმე კარგა ხნის

დასრულებულიც იყო. ერეკლე მეფეს გაეგო, ამ კაცის სტამბოლში სტუმრობა და უკვე წერილიც გაგზავნილი ჰქონდა საჭირო, სანდო კაცთან - სტეფანე ფოდოამვილთან.

სტეფანე მართლაც რომ გამორჩეული ადამიანი იყო. წარმოსადეგი, ლამაზი, დაწკეპილი უღვაშით და თავისი საამაყო ქამარ-ხანჯლით. მართალია, არც ისე გულუხვი გახლდათ, მაგრამ ,სამაგიეროდ, საჭირო პირი იყო,

ჰო, ცოტა გავკიცხეთ, არ უყვარდა დიდად დახარჯვაო, მაგრამ, თუკი ვინმე ეტყოდა, საჭიროაო, აუცილებლად გაიკრავდა ჯიბეზე ხელს. მეფეს ხშირად ეხმარებოდა, მხარში ედგა და არც ერეკლე რჩებოდა ვალში,ის მუდმივად საყვარელი სტუმარი და მეგობარი იყო მეფისა. ამიტომაც ანდო მეფემ სტეფანეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე: საქართველოში დახვედროდა ფრანგ ახალგაზრდას და მასთან მიეყვანა, გზად კი მისთვის პატივისცემა არ დაეკლო. მეფე ჰპირდებოდა,ერთი ფულიც არ დაგეკარგებო. წერილს თან გააყოლა კაცი, ვინც სტეფანეს ფრანგულიდან უთარგმნიდაექიმის ნათქვამს. ეს იყო უკვე კარგა ხნის „გაქართველებული რუსი“ ივანი, ვანიჩკა, როგორც მას აქ ეძახდნენ. თურმე ბევრი ენა იცოდა, ფრანგულიც მათ შორის. მეფეც ემეგობრებოდა მას - ერეკლე ხომ ხვდებოდა რუსებთან „მეგობრობის“ აუცილებლობას.

ამასობაში თელავში დიდ სამზადისში იყვნენ. იცოდნენ, სტუმრის მოგზაურობა ალბათ რამდენიმე კვირას გასტანდა, შუა ზაფხული იყო და დღეც გრძელი გახლდათ. მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა,აქ დახვედროდა სტუმარს. საქმელი რამდენიმე სახეობის კეთდებოდა. კახელებს განაგები ჰქონდათ, თურმე ფრანგები განთქმულები იყვნენ ღვინით. რასაკვირველია, ეცინებოდათ, აი, მოვიდეს და ჩვენ ვაჩვენებთ, როგორია ჩვენი ღვინოო. თვითონ მეფეც დიდ ხანს ემზადებოდა, ფიქრობდა და მეთვალყურეობდა პროცესს. ყველას აფრთხილებდა, ისე არ გამიხადოთ საქმე, სამ დღეს აქეიფოთ, შემდეგი სამი დღე ნაბახუსევი იყოს და მერე იმის ფიქრით იჭყლიტოს ტვინი, ამ ხალხს თურმე არაფერი უჭირს, ჭამა-სმის ხასიათზე არიან და აქ რამ ჩამომიყვანაო. ყველა უღიმოდა ერეკლეს, მაგრამ მეფემაც, მსახურებმაც კარგად იცოდნენ, რეალურად ახლა არავის ეცალა ღვინისთვის, ამის არც საშუალება იყო და არც დრო.

და ბოლოს, მოვიდა ჩვენი ფრანგი “აქიმიც” თელავში. გზად პეიზაჟებმა, ჭრელმა ზაფხულმა დაათრო, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ „დათვრნენ“ სამეფო კარის დიასახლისები მისი ცქერით. არც ისე ლამაზი კაცი იყო, მაგრამ საინტერესოდ გამოიყურებოდა. მკაცრი ნაკვთებით, დასავლური შარმითა და დახვეწილი სუნამოს სურნელით აბრუებდა ირგვლივ მყოფთ. თვით მეფასაც ესიამოვნა მისი ნახვა. ახლა ის იყო მხსნელი და მშველელი ყველასი. ერთი ევროპელი უცბად აღმოჩნდა ასამდე ქართველის გარემოცვაში. ალბათ ვერ ხვდებოდა რას, მაგრამ ქართველები მაინც უმღეროდნენ. უკვე უმღეროდნენ „სამადლობელს“...

დავით ჩიქობავა, 16 წლის

ქ. ფოთის N3 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე